ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 48

ქალაქი ქუთაისი I მარტი 2007 წ.

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს აპარატში
საჯარო ინფორმაციის გაცემის წესის
შ ე ს ა ხ ე ბ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი I. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი.

/ქალაქ ქუთაისის საკრებულოს აპარატში
საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი,
წინამდებარე ბრძანების დედანს თან
ერთვის/

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, სასამართლოში.

საკრებულოს თავმჯდომარე ბ.ხვადაგიანი

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს
თავმჯდომარის 2007 წლის I მარტის
N48 ბრძანების დანართი

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს აპარატში
საჯარო ინფორმაციის გაცემის
წ ე ს ი

მუხლი I. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა და მისი ხელმისაწვდომობა

1. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით /სზაკ/.

2. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე, გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ, მისი გაცნობის შესაძლებლობა, ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი /სზაპ/ მუხლი 37 ნაწილი 1/.

3. საჯარო ინფორმაციის მისაღებად საჯარო ინფორმაციის მომთხოვმა პირმა, წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საკრებულოს აპარატის უფროსს, რომელიც მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მოსამზადებლად გადასცემს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

4. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებაში, სავალდებულო არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.

5. პერსონალური მონაცემების მოთხოვნისას, განმცხადებელმა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობა.

6. საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა გარანტირებულია.

7. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე საფასური არ გადაიხდევნება.

8. პერსონალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია იმ პირისათვის, რომელიც იძლევა მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. პირს უფლება აქვს გაეცნოს მის შესახებ საკრებულოში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. საკრებულოს აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა/ სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ/ მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ/ სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას /სზაკ მუხლი 40 ნაწ. 1/.

დ/ თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ, განმცხადებელს /სზაკ მუხლი 40 ნაწილი 2/.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უარი ეთქმება იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს კანონი და მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, ან პირად საიდუმლოებას.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში, განმცხადებელს წერილობით განუმარტოს მოთხოვნილი ინფორმაციის გასაიდუმლოების მოტივი, ვადა თუ რა დროით არის გასაიდუმლოებული ინფორმაცია. ამასთან, განმცხადებელს უნდა განემარტოს მისი უფლებები ინფორმაციის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმართოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს.

საკრებულოს თავმჯდომარე — ა.ხვადაგიანი